



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N120**

21 ივნისი 2019 წ.

ქ. რუსთავი

„ქალაქი რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის N226 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქი რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის N226 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 27.06.2014წ., 330090020.35.160.016209) დამტკიცებულ დანართში - „კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკა“ შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით (თან ერთვის საინფორმაციო მასალა).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი